

XVII თავი

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის - spm.bsu.edu.ge (შემდეგში - „სისტემის“) მეშვეობით. სისტემის ადმინისტრირების და ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულის/დასაქმებულის ფუნქციათა აღწერილობა განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 7 სექტემბრის N01-08/154 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესით“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი N24), ასევე „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 2).

სისტემის ადმინისტრატორია ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი.

სისტემაში ინფორმაციის შეტანისათვის უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს გადაეცემათ შესაბამისი ფუნქციის და როლის მქონე სააღრიცხვო ჩანაწერი (account), რომლითაც ხდება შესაბამის მოდულებში ოპერირება (სხვადასხვა ჩანაწერის შექმნა, რედაქტირება, დათვალიერება და ა.შ.). სტრუქტურული ერთეულებს და პერსონალს ამ წესით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ეკისრება პასუხისმგებლობა ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის სრულ და სწორ შეტანაზე, არსებული ინფორმაციის შეცვლაზე, ასევე სისტემაში რეგისტრირებულ ინფორმაციაში შეცდომის/ხარვეზის დროულ გამოვლენასა და ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის შევსებაზე. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები/პირები ვალდებული არიან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს კანონმდებლობით/ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ვადებისა, ასახონ სისტემაში/წარმოადგინონ სისტემაში ასახვისათვის ნებისმიერი ინფორმაცია, რაც იწვევს ელექტრონულ სისტემაში ცვლილებების განხორციელებას.

სისტემაში ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში, წინამდებარე წესში აღნიშნულმა სტრუქტურულმა ერთეულებმა/პირებმა და სტუდენტებმა 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობით უნდა მიმართონ ბსუ-ს ადმინისტრაციას, რათა აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზი (სტუდენტმა - სტუდენტური პორტალის - portal.bsu.edu.ge მეშვეობით, ხოლო დასაქმებულმა - ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად).